N 772
11/09/2019

772-01-3-201909111347

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს
ბატონ მიხეილ ხმალაძეს

ამავე სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული
სამსახურის უფროსის
გიორგი მაზიაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო მიხეილ,

მოგახსენებთ, რომ სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ 2019 წლის 2 ივლისიდან 2019 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით გამოაცხადა 4 (ოთხი) ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT190012986, NAT190013198, NAT190016394, NAT190017031), საიდანაც 2 (ორი) ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულების მომენტისათვის სულ მცირე ერთმა პრეტენდენტმა წარმოადგინა სატენდერო წინადადება, ხოლო 2 (ორი) ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულების მომენტისთვის სატენდერო წინადადება არ წარმოუდგენია არცერთ პრეტენდენტს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის №15 ბრძანების - „სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“, მიხედვით, პირველი მუხლის 3-ე პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების შესაბამისად, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ უნდა დაფაროს სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

გთხოვთ თქვენს თანხმობას აღნიშნულის თაობაზე.

პატივისცემით
გიორგი მაზიაშვილი

LEPL Land transport agency

Digitally signed by LEPL Land transport agency
Date: 2019.09.12 10:18:20 +04'00'